

ივლისი, 2022-დეკემბერი,  
2022

ივლისი, 2022-დეკემბერი,  
2022

**საინფორმაციო  
ბროშურა**



**Erasmus+ ინსტიტუციური განვითარების პროექტი  
- „საქართველოსა და უკრაინის უსდ-ების როლის  
გაძლიერება ინდუსტრიულ ტრანსფორმაციაში  
ინდუსტრიული პარადიგმა 4.0-ის მეშვეობით“**

**HEIn4  
609939-EPP-1-2019-1-BE-EPPKA2-CBHE-JP**

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროექტი ბელგიის, შვედეთის, პორტუგალიის, უკრაინისა და საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციებისა და ორგანიზაციების ჩართულობით ხორციელდება.

Erasmus+ - ევროკავშირის საგრანტო პროგრამა, რომელიც ახორციელებს პროექტებს განათლების, ტრენინგების, ახალგაზრდობისა და სპორტის მიმართულებით 2014 წლიდან.

ინსტიტუციური განვითარების პროექტები აგრძელებენ ყოფილი Tempus პროგრამის აქტივობებს, რომლებიც მიმართული იყო უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმის მხარდაჭერისა და უნივერსიტეტებს შორის ინსტიტუციური თანამშრომლობისა და პრაქტიკის/გამოცდილების გაზიარებისკენ.

HEIn4 პროექტის განხორციელების ვადები: 2020 წლის 15 იანვარი -2023 წლის 14 იანვარი\* (\*პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, მოთხოვნილია პროექტის გახანგრძლივება).

**პროექტის აქტივობები**

COVID-19 პანდემიას და მსოფლიოში არსებულ შეზღუდვებს 2022 წლამდე მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა პროექტის მიმდინარეობაში და დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაში. თუმცა 2022 წლის მაისიდან პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების მნიშვნელოვანად შემსუბუქების ფონზე, შესაძლებელი გახდა ფიზიკური Study Visit-ების დაგეგმვა პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტებში.

ვიზიტები ევროპული საუკეთესო პრაქტიკების გაცნობას, გამოცდილების გაზიარებას და კონსორციუმის წევრ უნივერსიტეტებში მათ სამომავლოდ დანერგვის შესაძლებლობების განხილვას ემსახურებოდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში უკრაინელი პარტნიორი ინსტიტუციებიდან მხოლოდ რამდენიმე წარმომადგენელმა შეძლო ვიზიტებში მონაწილეობა. ომმა მნიშვნელოვნად შეაფერხა უკრაინულ უნივერსიტეტებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

პროექტის ბოლო Study Visit შედგა სტოკჰოლმის ტექნოლოგიური სამეფო ინსტიტუტის (შვედეთი) კამპუსში 2022 წლის 22-26 აგვისტოს. ვიზიტში მონაწილეობდნენ ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის 3, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 3 და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს 2 წარმომადგენელი.



**პროექტის საკოორდინაციო შეხვედრები**

HEIn4 პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული აქტივობების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით დაიგეგმა და შედგა რიგით მე-18, მე-19, მე-20 და 21-ე საკოორდინაციო შეხვედრები თანმიმდევრულად შემდეგ რიცხვებში:

- ◆ 24.08.2022 - ჰიბრიდული შეხვედრა
- ◆ 20.10.2022 - დისტანციური შეხვედრა
- ◆ 24.11.2022 - დისტანციური შეხვედრა
- ◆ 22.12.2022 - დისტანციური შეხვედრა

საკოორდინაციო შეხვედრების ფარგლებში, პროექტის სამუშაო პაკეტების (WP) მიხედვით, გაიწერა ინსტიტუციების მიერ განსახორციელებელი აქტივობები და სამოქმედო გეგმა; შეფასდა პარტნიორი ინსტიტუციების მიერ წარმოდგენილი პროექტის RG-ის ხარისხის ფორმები; დაიგეგმა თბილისში განსახორციელებელი ფართომასშტაბიანი კონფერენცია; განხილულ იქნა ომის პირობებში უკრაინული ინსტიტუციების გეგმები; მომზადდა პროექტის გახანგრძლივების თხოვნის ფორმა; შემუშავდა პროექტის საკომუნიკაციო და მარკეტინგული სტრატეგია და მოხდა პარტნიორ უნივერსიტეტებში ჩატარებული საპასუხო აქტივობების/ღონისძიებების ანალიზი; განხილულ იქნა პროექტის ფინანსური ნაწილის მენეჯმენტთან დაკავშირებული საკითხები; განხილულ იქნა ქართულ და უკრაინულ უნივერსიტეტებში დაარსებული მაღალტექნოლოგიური ლაბორატორიების ფარგლებში განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობები; მომზადდა ლაბორატორიის და პროექტის ბენეფიციარების უკუკავშირის სამენოვანი ფორმები და ანგარიშები (უკრაინულ-ინგლისური; ინგლისურ-ქართული); მატერიალურ-ტექნიკური ბაზები და სამომავლო გეგმები; ასევე, შეიქმნა ლაბორატორიების სპეციალური ვებ-გვერდები ქართულ-ინგლისურ და უკრაინულ-ინგლისურ ენებზე; დაიგეგმა ინჟინერიის მიმართულების კურსულუმის ანგარიშის/პუბლიკაციის მოზადება ქართულ და უკრაინულ ენებზე პროექტის პარტნიორი 3 ევროპული უნივერსიტეტის საუკეთესო პრაქტიკებისა და გამოცდილების შესაბამისად; ასევე, მიმდინარეობს მუშაობა პროექტის მდგრადობის გეგმაზე კონსორციუმის წევრ თითოეულ უნივერსიტეტში.

## HEIn4 თბილისის კონფერენცია

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს კოორდინირებით, 2022 წლის 18-20 აგვისტოს თბილისში გაიმართა HEIn4 პროექტის ფართომასშტაბიანი კონფერენცია, რომელსაც პარტნიორი ევროკავშირი, უკრაინული და ქართული უნივერსიტეტების 22 წარმომადგენელი დაესწრო.

3 დღიანი კონფერენციის ფარგლებში მასპინძელმა ქართულმა მხარემ მონაწილეებს გაუზიარა პროექტის მიმდინარეობის, დაარსებული ლაბორატორიების, აქტივობების და ინდუსტრიასთან თანამშრომლობის საუკეთესო პრაქტიკები.

მასპინძელმა ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა კონფერენციაზე წარადგინა მოხსენებები შემდეგ თემებზე:

- **BTU-ს საერთაშორისო პროგრამები და პროექტები**
- **ინოვაციების და ტექნოლოგიების ტრანსფერის გეგმა**
- **ინდუსტრიასთან თანამშრომლობის გამოცდილება და გეგმა**
- **ციფრული ეკოსისტემის დაიჯესტი**

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა პროექტის პარტნიორ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, ასევე გააზიარა ინფორმაცია პროექტის ფარგლებში დაარსებული ლაბორატორიების აქტივობების, კურსების, გადამზადების პროგრამების და სამომავლო გეგმების შესახებ.

კონფერენციის ფარგლებში, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოში ვიზიტისას საქართველოს სამეწარმეო და ინოვაციური ეკოსისტემის განვლილ პარალელურად, მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ მოესმინათ საქართველოს სტარტაპ ეკოსისტემის ჩემპიონი სტარტაპების საუკეთესო გამოცდილებისთვის:

- **Unmanned Air Technologies**
- **Biochimpharm**
- **Elven Technologies**
- **Vision**

## სამომავლო გეგმები

პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები:

- **EACEA-ს მიერ პროექტის ვადის გახანგრძლივება**
- **ინჟინერიის მიმართულების კურიკულუმის განახლებისთვის რეკომენდაციების ანგარიშის მომზადება ევროკავშირი უნივერსიტეტების საუკეთესო მაგალითების საფუძველზე**
- **პროექტის მდგრადობის გეგმის შემუშავება**
- **პროექტის ფარგლებში ინდუსტრიასთან თანამშრომლობის ამსახველი ანგარიშის მომზადება**



*პროექტი თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. წინამდებარე კუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორების მოსაზრებას და ევროკავშირი არ არის პასუხისმგებელი წარმოდგენილ ინფორმაციაზე. ავტორების სტილი დაცულია.*